

სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა

❖ ბხსუ-ში სტუდენტთა კარიერულ მხარდაჭერასა და საკონსულტაციო მომსახურებას ახორციელებს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და პროექტების მართვის განყოფილება (ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №104).

✚ განყოფილების მისია:

- სტუდენტური ინიციატივების წახალისება, სტუდენტთა შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება;
- სტუდენტების დახმარება პროფესიულ თვითგამორკვევაში, კომპეტენციების განვითარებასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში.

✚ განყოფილების მიზნებია:

- სტუდენტთა შემოქმედებითობის გაზრდის მიზნით ინოვაციური იდეების/პროექტების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია;
- სტუდენტური პროექტების ეფექტური განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;
- პროექტების განხორციელების ფარგლებში თანამშრომლობა უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან;
- სტუდენტური თვითმმართველობის ან/და შემოქმედებითი გაერთიანებების დახმარება საქმიანობის განვითარებაში და საჭირო რესურსების მოძიებაში;
- სტუდენტებისათვის შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება;
- ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა და მხარდაჭერა, ზრდისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების მიცემა;
- კრეატიულ იდეებზე დამყარებული სტუდენტური სტარტაპებისა და ბიზნეს პროექტების შემუშავებისა და სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივი აქტუალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართული ინიციატივების შემუშავება და განხორციელება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან კავშირების გაძლიერება, უნივერსიტეტის შემოქმედებითი იმიჯის განვითარება, პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა;
- სტუდენტების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვა) ხელშეწყობა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში, მჭიდრო კონტაქტის დამყარება დამსაქმებლებთან, რაც დაეხმარება ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებაში და შესაბამისად, პროფესიულ, სოციალურ - ეკონომიკურ რეალიზაციაში.

✚ განყოფილების ფუნქციებია:

➤ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით:

- სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში;

- ინდივიდუალური კონსულტაციები და რეგულარული შეხვედრები სტუდენტებთან, კარიერული მიზნების გამორკვევასა და პირადი განვითარების გეგმების დასახვის მიზნით;
- სტუდენტებისათვის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გათვალისწინებით, კონსულტაციების გაწევა შრომის ბაზრის მიმდინარე თუ სამომავლო მოთხოვნებთან დაკავშირებით;
- პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებაზე ტრენინგებისა და მასტერკლასების ორგანიზება;
- სტუდენტთა დახმარება CV-ის, სამოტივაციო წერილის და პორტფოლიოს მომზადებაში;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა, დასაქმების ვებგვერდებზე არსებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის ვაკანსიებთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება, სტუდენტების დახმარება დამსაქმებლებთან ურთიერთობაში და ამ მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართვის ხელშეწყობა;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პერიოდული გამოკითხვა ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდებაზე დაკვირვებისა და სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;
- დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა, სტუდენტებსა და პოტენციურ დამსაქმებლებს შორის შეხვედრების ორგანიზება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან და წამყვან კომპანიებთან ურთიერთობის დამყარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით (რეგიონის წამყვან კომპანიებთან გრძელვადიანი ურთიერთობების განვითარება, სტუდენტებისთვის პრაქტიკული სტაჟირების ორგანიზება დასაქმებისათვის აუცილებელი და ღირებული გამოცდილების მისაღებად, დამსაქმებლების მოწვევა უნივერსიტეტში საინფორმაციო სესიებისა და პრეზენტაციებისათვის, დამყარებული კავშირების საფუძველზე კურსდამთავრებულთა დასაქმებაში დახმარება);
- საგანმანათლებლო სფეროში მიმდინარე სხვადასხვა კონკურსების, პროექტების და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მოძიება და უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის გაცნობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა და მათი ინტეგრირების მიზნით შესაბამისი წინადადებების უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენა;
- უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ფაკულტეტებთან თანამშრომლობა საჭირო მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სასწავლო პროცესში შემოქმედებითი ელემენტების ინტეგრირების მიზნით;
- კურსდამთავრებულთა აქტიური კომუნიკაციის შენარჩუნება და მათი ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;

- კოორდინაცია ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან და ასოციაციებთან.

➤ **სტუდენტური პროექტების მართვის მიმართულებით:**

- სტუდენტური შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება;
- თითოეული ღონისძიების კონცეფციის, ფორმატის და პროგრამის შესწავლა;
- სტუდენტური პროექტების ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფა;
- დაფინანსების, საექსპერტო დახმარების და საჭირო რესურსების მოპოვება - შერჩეული პროექტების განსახორციელებლად;
- წარმატებული პროექტების პოპულარიზაცია საზოგადოების ინფორმირებისა და განვითარების დამატებითი შესაძლებლობების მოსაზიდად;
- სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული პროექტების, კონკურსებისა და გრანტების შესახებ ინფორმაციის მოძიება და უნივერსიტეტის სტუდენტების ინფორმირება;
- კონსულტაციები სხვადასხვა კონკურსში განაცხადების წარდგენის სპეციფიკაზე;
- უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის საპროექტო განაცხადების მომზადებასა და ადმინისტრაციულ საკითხებში ტექნიკური დახმარების გაწევა;
- პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით;
- საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო სტუდენტური პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვისა და მომზადების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი;
- საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

✚ უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერისა და პროექტების მართვის განყოფილება ხელს უწყობს სტუდენტებს განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია ვაკანსიების, დამსაქმებლების, დაგეგმილი სტაჟირებების, ტრენინგების, კონკურსების, საერთაშორისო პროექტების, პროგრამებისა და ღონისძიებების შესახებ.